შპს „ვ.ტ.“

„ 19 „ ივლისი 2019 წ.

№ 19-07

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ შალვა ბულაშვილს
შპს ვ.ტ. დირექტორი იუზა ჯოგლიძე
ტელ: 599 516680

ბატონო შალვა,

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს ვ.ტ-ს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს მიერ გაცემულ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიას.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით
შპს „ვ,ტ,“-ს
დირექტორი

/იუზა ჯოგლიძე/

ალფა

საბანკო გარანტია N GBG 02306/17

გაცემის თარიღი: 19 ივლისი, 2019 წელი

გარანტი :	სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“, ს/კ 204568896;
პრინციპალი :	შპს „ვ.ტ.“, ს/კ 400019074;
ბენეფიციარი :	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ს/კ 204900483;
საგარანტიო თანხა :	32.00 (ოცდათორმეტი) ლარი.

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „ვ.ტ.“–მა (პრინციპალი) ბენეფიციარის წინაშე იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, ბენეფიციარის 2019 წლის 18 ივლისის MOD 1 19 00736335 თანახმად (ელექტრონული ტენდერი CON180000064) ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე, პრინციპალის სახელით, არაუმეტეს თანხაზე – **32.00 (ოცდათორმეტი) ლარი** და ვკისრულობთ ვალდებულებას, ზემოაღნიშნული თანხის გადახდაზე წინამდებარე საბანკო გარანტიაში მითითებულ ტენდერში პრინციპალის გამარჯვების საფუძველზე, ბენეფიციართან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა (ძალაშია): 2019 წლის 19 ივლისიდან 2020 წლის 01 მარტის ჩათვლით.

გარანტი ბენეფიციარის წინაშე ვალდებულებას კისრულობს მხოლოდ საბანკო გარანიიტს მოქმედების ვადის განმავლობაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე ბენეფიციარის მხრიდან აღარ მიიღება.

წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით (ასეთის არსებობისას) დადასტურებული ფორმით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა.

წერილობითი მოთხოვნა უნდა ჩაბარდეს გარანტს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N16 კანცელარიის სამსახურში, სამუშაო საათებში, 09:00–დან 18:00–მდე. მოთხოვნის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება მოთხოვნის თანდართული დოკუმენტებით უშუალოდ გარანტისათვის ჩაბარების თარიღი. დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

წინამდებარე საბანკო გარანტია უქმდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

აღნიშნული გარანტიის გაცემის საფუძველს 2018 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ N GBG 02306 გენერალური ხელშეკრულება.

სალომე შუბითიძე ----------

სპეციალური რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი